სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

___28.01.2015____ № __5_____

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 12 იანვრის №10 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 14 იანვრის N 1398 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2015 წლის 23 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით www.eqe.ge) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015 წლის 9 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველ დღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2015 წლის 16 თებერვლისა;

5. 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2015 წლის 18 თებერვლისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ა.ფრანგიშვილი**

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

დანართი 1.

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედი-ტი	აკადემიური საათი			ECTS კრედი-ტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა	❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული
შენიშვნა	

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

ი.ლომიძე ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

ხელმოწერა